მდინარე რიონის ხეობაში მოსალოდნელი სტიქიურ მოვლენათა რისკები

მარიამი შანავა

ელ-ფოსტა: mariam.shanava656@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

ჩემი ნაშრომის თემაა „მდინარე რიონის ხეობაში მოსალოდნელი სტიქიურ მოვლენათა რისკები“. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს - შევისწავლოთ მდინარე რიონის ხეობაში მოსალოდნელი სტიქიური მოვლენები, განვსაზღვროთ მოსალოდნელი რისკები და მათი თავიდან აცილების შესაძლებლობები მიმოვიხილოთ. ნაშრომი შესრულებულია ისტორიული, შედარების, ანალიზის, მათემატიკური, კარტოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით.

პირველ თავში განხილულია საკვლევი რეგიონის ისტორიული და ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება. მეორე თავი მთლიანად ეთმობა არსებულ რეგიონში ფიქსირებულ სტიქიურ მოვლენებს და მათ მიერ მიყენებულ ზარალს.

დასკვნაში განხილულია ის გარემოსდაცვითი ღონისძიებები და რეკომენდაციები, რომელთა შესრულება ხელს შეუწყობს მდინარე რიონის ხეობაში კატასტროფების რისკების შემცირებასა და მოსახლეობის უსაფრთხოების დონის ამაღლებას.